

სახალხო გამეორებელი

სურათების განატენა

გაცემის № 535

დამატების № 94

პირა, 26 თებერვალი 1912 წ.



პორტრეტი. ნახატი კოტე ქავთარაძისა.

ზორბე

(დასასრული ქ.).

6.

არის შეცოდება, რომლის შენდობა შეუძლებელია, და-
ვიწყება მოუხერხებელი. ამისთანა წყენის კვალი იღარ იშლე-
ბა გულში, როგორც რამ ავი იარის ნასახი კანზე.

უკველივე მიეტეოს ძეთა კაცთასა, ცოდვანი და გმობა-
ნი, ხოლო რომელმან სოჭვას გმობაი სულისა წმიდისათვის,
არა აქვს მიტევება უკუნისამდე.

და ყოველ ადამიანსა ჰყავს თავისი წმიდა სული და აქვს
წმიდა-წმიდათა, სავანე ხელშეუხებელი ამ სიწმიდისა. შელახა
მისი შეუნდობელია და მიუტევებელი, დაუვიწყარია და და-
უცილებელი. ამისთანა წყენის სიმწვავე არა უუჩდება, დროთა
შევლელობას არ ემორჩილება; ფერი არ უხუნდება მას და
ყოველ მის გახსენებაზე ადამიანი ისევე იმღვრევა და წით-

ლდება, თითქო იგი შეურაცყოფა ეს არის ეხლა მოხდა, ამ
წუთშიო.

ილიკოს აზრით და გრძნობით ლევანმა სწორედ ისეთი
შეუნდობელი შეცდომა ჩაიდანა მის შესახებ. თუ შესძლებო-
და ახალგაზრდას, სწორედ გაზინვე კბილით დაგლევადა ლე-
ვანს და გაათავებდა; ეხლა კი დამცირებული დაშორდა კრე-
ბას, დამდაბლებული, მიწასთან გასწორებული, არა კაცი.

— ვაჟკაცს საჯაროდ ქუდი მომგლიჯა თავიდან, დასკა,
მიწას გაპრია ზა მე კი ვერ შეესძლი ჩემი თავის დაცვა და
დაფარვა! ქუდს წიბლი ავომიკრა ხალხის წინ და ის ქუდი
ხომ თითონ მე ვარ, ის ხომ თვით ჩემი თავია აწ პანლურ ამო-
კრული და გათასირებული. მღანძლა და მე კი დამებშო ბა-
გე, ვერ ვუთხარი მაგიერი. ზოგს შევებრალე, ზოგს გაეღიმა:
შევნიშნე ყველა ეს და დავზდაბლდი, ვაჟკაცი მქვიან და სა-
ბრალო კი შევიქმნი, საცოდავი.

იგონებდა ილიკო თითო-თითოდ ჩეუბის წვრიმალს და
იტანჯებოდა ულონოდ, თავისივე კბილით სჭამდა თა-
ვის ხორცს.

* იხ. სურათებიანი დამატება, № 93.



გრიგოლ ჩახტონი ერის კაცობაში.
(იხილეთ დღევანდელი გაზეთი).

— მათრახი შემიმაღლა, როგორც რომ პირუტყვს სახელნაც, მე კი ვერ მოვტეხე მას მოღერებული მარჯვენა. ფუ ჩემს ვაურაბა! იმდენი ხასიათიც კი არ დამყა, რომ იქვე ყრილობაში მომეკლა თავი, თუ მტრის ვერბა ველარ შევსელი, — ამბობდა ილიკო და თანდათან აზვიადებდა თავის შეურაცყოფას და ამ გაზვიადებაში მწარე კვაყოფილებასა პოულობდა უცნაურს.

მისთვის მოქნეული მათრახი თვალ წინ ედგა ილიკოს ჰაერში შეთამაშებული, ცეცხლის ღვევებით იყო იგი ჩაწნული და გახურებული შანთივით მასკენ მიმართული. თვალიას თუ თვალ-დახუჭულს იგი მათრახი თვალშინ უთამაშებდა და მრასხანედ ჩასკერძოდა ოვალებში.

გააზვიადა ახალგაზდამ ეს შემთხვევა, ერთობ ჯააღიდა, უზარმაზარი გახადა. ილიკო პატარობითვე უფრთხოდა ჩეუბს, ფეხს არავის დაადგამდა, მოუხეშავად არავის შეეხებოდა სიტყვით თუ საქმით და ეს იმისთვის კი არა, რომ ბუნებით კეთილი იყო და უწყინარი, არამედ იმისთვის, რომ ეშინოდა, პირი არ შეებრუნებინათ მისთვის და არ შეპერადნენ დაირავებულ თავმოყვარეობას. თვითმოყვარეობა კი უზომო ჰქონდა.

ბავშვობიდანვე შნოანი იყო ილიკო, მოცალინე, ნიჭიერი და თავისიანები თუ სხვები ყოველთვის ქებით იხსენიებდნენ მას, დიდ მომავალს უქადნენ. სასწავლებელშიაც ესე-თვე შეხედულობა შემუშავდა მასზე, ბავშვი საშინელი მგრძნობიარე შეიქმნა თავის თავის შესახებ. ეს იყო მიზეზი, რომ ეხლა ესე მწარედ მოხვდა მას გულს ლევანის უგვანი საქციელი, თორებ ჩეუბში და აურზაურში რომ ყოფილიყო გამოჯეყილ-გამოქედილი, იმისთანა უბრალო ამბავს ინუნშიაც არ მოიტანდა, მით უფრო, რომ შეექლონ პასუხი გაეცა მტრისათვის სიტყვით თუ საქმით: ენა ლევანზე მეტად უკრიდა და მარჯვენასაც არა უშავდა რა, მოქნილი სხლარტი ბიჭი ჯანღლონით იყო სავსე და არც ისე ძნელი იყო მისთვის გამკლავებიყო ლევანს.

ილიკო თითონ იყო დარწმუნებული, რომ სწორედ უზომოდ დამდაბლა იგი ლევანა, თორებ სხვები ასეთ მნიშვნელობას არ აძლევდნენ ამ წატოლებას და წაკინკლავებას, მათ თვალი და ყური შეჩვეული ჰქონდათ ახალგაზდების შეხლა-შეჯახებისათვის; მხოლოდ დროებითი გასართობი იყო ამისთანა ამბავი მათვის, როგორც მამლავინწების გამწვავებული ძიგილი.

ეხლაც გააშველეს; ახალგაზდა, გაიცინეს, ზოგმა ილიკოს დასტინა, ზოგმა ლევანს. ბიჭი ქუდი გაუშმინდეს, მიაწოდეს.

ილიკო მაშინვე გაპერა კრეპარან. ლევანი ერთხანს ყოყონბდა ხალხში, ჰერნდა და ამზევებდა თავის სიყვარულეს, მერე მოახტა ცხენს და გაპერალა. დაშალა ყრილობაც, ხალხი წავიდ-წამოვიდა. ფატარგვა შეიყრა ყურომაჯი და გასწია თავის სახლისაკენ. მას კვერაზ, მსსუვანენ ბოქაული და მღვდელი. ცოტა მოშორებათ აპყოლო უნენ ახალი მამასახლისი და სოფლის სხვა ქეთხულები. ამათ ყველას იმედი ჰქონდათ, რომ ბატონი ამ შრომის შემდეგ პირს გაუშველებ-

და მათ და კუჭს უნუგეშებდა თავისთან თუ თავის ჰილო. არც მოსტყვედნენ. მწვერვალიძის სახლის კარი დღესაც ისევე იყო ღია საპატიო მიმსვლელ-მოსვლელისათვის, როგორც ბატონ-ყმობის ღრის, როდესაც მას ჰყავდა მონა მრავალი, როდესაც მისი ოჯახი მის ყმების ქედზე იყო დამყარებული, როდესაც მასთან მიმსვლელ-წამსვლელის დამხვედრი თუ გამ-ცილებელი მთელი სოფელი იყო, ხოლო პირად მისი საზრუნველი იყო მარტოოდენ განცხრომა და განსვენება. ეხლა ყოველივე ეს კეთილი მოკლებული ჰქონდა, მაგრამ ბატონი თავისას არ იშლიდა და უმძიმებდა ტვირთს საძირკვლიდან შერყულ ოჯახს. ან კი რა ექმნა?! მაშ სად უნდა მიედრიკა თავი საპატიო სტუმარს, თუ არა მის სახლში?

7.

ამ შემთხვევის შემდეგ ილიკომ დაირცხვინა ხალხში გამოსვლა. ყრილობას ერიდებოდა, მეზობლებს შორს უვლიდა, მიმსვლელს თავს არიდებდა: ეგონა, ყველის ახსოვდა მისი შეურაცყოფა და ყველა დამაცირებელ სიბრალულით უყურებდა მას. თუ ვინმე შემთხვევით ლაპარაკს ჩამოაგდებდა ან ლევანზე ან მამასახლისზე, ის თავის ქერქში ძვრებოდა და იქიდან გამოიმზირებოდა ამრეზილი; ჰქონებდა, ის ეხლა გადავლენ ჩემ დამაცირებელ ამბავზე, ის ეხლაო. უფრო და უფრო ღრმავდებოდა მის გულში შეურაცყოფის გრძნობა, იარად გარდაექმნა იგი გრძნობა და უბრალო სიოს მოხვედრაზედაც სტკიოდა და სტებდა.

ეს ტკივილი თან გაჲყვა ილიკოს სასწავლებელშიც და აჩრდილივით სდევდა მის გონებას ყოველ ჟამს და ყოველ წამს. მცირედი შემთხვევა კმარიდა, უბრალო სიტყვა, რომ ცხადად წარმოედგინა მის გონებას მთელი სურათი მისის დამცირებისა, სურათი ალსაცე ყოველივე წვლილით და დაფერადებული შეგნებილი საღებავით. ხოლო ამ სურათში უპირატესი ადგილი ექირა მის შეურაცყოფის ლევანს, რომლის შემაღლებული მათრახი და ბოროტად მოლიმარე სახე თვალ-წინ ედგა არა როგორც სურათი მესხიერებისა, არამედ როგორც ხორცულების მურა თუ გაკვეთილებზე და ხასიათს უცვლიდა მის ჰაზრს, მრუდედ მიჰართავდა მის მსჯელობას.

— აკურთხებდით მაკურთხებელთა თქვენთა და ილოცვდით მათვის, რომელი გმდლავრობენ თქვენ! — კითხულობდა სჯულის მასწავლებელი და უკავშირებდა ამ მცნებას ლოთაებურ სიყვარულს, როგორც მის შედეგს და მისგან მომდინარეს.

ამასვე იმეორებდა ილიკო და ისე მარჯვედ, როგორც შეპერალდა ეს სანაქებო შეგირდს, მაგრამ მხოლოდ ენით იმეორებდა, გული კი სულ სხვას უკარნახებდა.

— მაშ უნდა დამელოცნა ლევანი, როდესაც სახალხოდ მლანძლა მან და მაგინა; თავი უნდა მომეხარნა მის წინაშე, როდესაც მძლავრობდა ის ჩემზე და მამდაბლებდა. აკი ესე მოვიქეცი შემთხვევით, სიტყვა ვერ შეუბრუნე, მაგრამ არამც თუ საქებად არ ჩასთავალეს ჩემი ქცევა, მასხარადაც ამიგდეს. ან რას გააგონებ აშვებულ ძალის, თუ ძალავე არ დაუყენებინ და არ შეზღუდე მორჩეობა?! დაახვედრე მგელს დათმობა და იგი თავს აუშვეს, განამრავლებს ბოროტს თვის გარშემო—ფიქრობდა ილიკო და უფრო ესმოდა მოსეს დარიგება: კბილი კბილისა წილ და თვალი თვალისა.



გრიგოლ ჩახტონი (იხილეთ დღევანდელი გაზეთი).



ფ. შეიდემანი ახლად აჩქეული გერმანის რეისტაგის პრეზიდენტის პირველი ამხანაგი—სოციალ-დემოკრატი.

— რომელმან დაიმდაბლოს თავი თვისი, იგი ამაღლდეს! — კითხულობდა მოძღვარი და განმარტავდა, რომ სიმაღლე და დიდება მოელის ამისთანას მერმისა მას საუკუნეში.

იმეორებდა მასწავლებლის წრთვნას ილიკო, ლამაზად იზეპირებდა, გული კი არ ითვისებდა ესეთს წრთვნას.

— ამ ქვეყნად ცცხოვრობ და ამ ცხოვრების კანონი მინდა. ვინც თავს იმდებლებს აქ, დაბალ ღობედ რჩება, რომელზედაც აბიჯებს ყველა. ლირფი და თავშასული უფრო წინაშის ცხოვრების ტაბლაზე, სინამ კდემამოსილი, გამბედავი ულირს უფრო ღირსეულად მიაჩნია ხალხს, რჩეულად და მარილად ქვეყნისა, სინამ თავდახრილი და თავგდაბალი ღირსეული. მაშ, თავი უნდა დამტებალებინა ლევანის წინაშე, ბოლიში უნდა მომეთხვა, შევხვეწნოდი დამშვიდებულიყო, ხელზე უნდა მეკოცნა და მაშინ შევიქმნებოდი საქები.

— გიყვარდეთ მტერნი თქვენი და კეთილუყოფუთ მოძულეთა თქვენთა, — განაგრძობდა ოსტატი და განმარტავდა, — კეშმარიტმა სიყვარულმა არა უწყის ბოროტება და მტერს თუ მოყვარეს მიაგებს კეთილს ისე, როგორც თანაბრად მოჰყენს მზე თვის სხივს ვარდსა და ეკალს.

ილიკოც იზეპირებდა წაკითხულს თუ გავონილს, მაგრამ მხოლოდ იზეპირებდა მისაგებად, გული კი ვერ ითვისებდა მას.

— მტერი იგია, ვინც გებრძვის და ისწრაფის გძლიოს, ხოლო ბრძოლის მცნება მარტივა და ცხადი: მოსპე, თორებ მოგსპობს! აქ არა ადგილა აქვს სიყვარულს და დათმობას? განა შეიძლება უხათრო ყბა დალრენილ ლომს, ან შეიყვარო ის? მაშ მეც უნდა მიყვარდეს ჩემი შეურაცხმყოფელი და მტერი ლევანი. არა! გული ვერ დაიტევს ამას, ვერც შეიგნებს გონება ჩემი, — ფიქრობდა ილიკო.

— რომელმა გცეს კურიმალსა შენსა, მიუპყარ ერთკერძოცა! — კითხულობდა მასწავლებელი და ასურათებდა ამგვარ საქციელს, როგორც უშრემდებალეს სათნოებას. ისმენდა ილიკო ამას, იმეორებდა, ხოლო გულში ღელვადა ბოროტად.

— როგორ! მაშ, მათრახი რომ გადმომიქნია ლევანმა, არ უნდა ამცულინა; არამც თუ არ უნდა მოვრიდებოდი, არამედ ზურგი უნდა მიმეშვირნა მისთვის, რომ დაეკრა და გულისბურხარი ეყარნა. არა! მონური მცნებაა ყველა ეს, დამონებულ და უსასოქმნილ ერისგან შეთხრალ — დაკანონებული. თავისუფლება ვერ შეითვისებს ამგვარ დარიგებას. მონისათვის კი ერთადეგრთი ხელსაყრელი წრთვნა არის ეს: უნდა ჰლოცა, მონავ, შენი მგმობელი ბატონი, რადგან თუ სიტყვა მკვაჭე ასმინე, მოგსპობს: მის ხელთ არის შენი სიცოცხლე! უნდა დაიმდაბლო თავი ბატონის წინაშე, ძონად უნდა მოჰკვდე მის მძლავრ ხელს და კეთილ მონად გიშოდებს და თვის ნახრავ ძვალს გადმოგიგდებს სუფრიდან ხელუკულმა. თუ ბატონმა შეგიძლება და გადაგემტერა, არ შეიჩნიო, მონავ, თორებ იგრძნობს, რომ გძულს იგი და მოგსპობს: მის ხელთ არის შენი სიცოცხლე! თუ ბატონმა შემოგრძოს, არ მოერიდო, ლოყა მიუშეირე, რადგან თუ წინაღლუდეგა, მახვილით გაგიპობს გულს: მის ხელთ არის შენი სიცოცხლე! დიახ, ეს არი წრთვნა მონისა და მონური, ხოლო მე არც ყმა ვარ ეხლა, არც მონა! ფიქრობდა ილიკო და ბოროტად მიიმართებოდა მისი არსება.

8.

ბოროტმა ხსოვნამ ავად მიჰმართა ილიკოს მმოქმედი ნება, სისხლის აღების გზაზე დაყენა. ცხოვრება მარტონდენ გრძოლად წარმოუდგინა და დაბუდა მის გულში გადაჭარებ-

ბული შიში ცხოვრებისაღმი, რომელიც ან ამონებდა აღმართებულისა ან აბატონებდა, და დაისახა მიზნად თვისის სიცოცხლისა ბატონობა. მონაბის სიმწარე რომ განიცადა ილიკომ გონების თვალით, თან ისიც შეიგნო, რომ წინანდელ მონას, აწ თავისუფალს, საკუთარი უნდა განემტკიცებინა თავის ფეხ ქვეშ ნიადაგი თავისუფლებისა, იგი ძლიერად შეიარაღებული უნდა გამოსულიყო ცხოვრების ასპარეზზე, თორებ ულონოს და უძლეურს სხვა ათასი ძალუმი დაგატრონებოდა, დასაჩაგრავდა, ლუკა პურად იყიდდა და ბატონად დაწვევბოდა ქედზე.

— რითი შემიძლიან ცხოვრებისთვის შევიარალდე? სიმილი არა მაქვს, მიწა-წყალი არ გამაჩნია საკმაო; მაშ, დამრჩენია ერთად ერთი ის უფლება, რომელიც სწავლით მოიპოვება. ლევანს რომ მამულ-დელული აქვს და საბატონოდ მოწყობილი სახლ-კარი, მე სწავლით შეძენილი ძალა უნდა მედვის საცხოვრებელ თანხალ, თორებ ხელცალიერი თუ გავედი ცხოვრების მოედანზე, იგივე ლევანი, თუ სხვა მის ფერი, დამიმონავებს და გამქელავს.

და უმატებდა ილიკო მეცადინებას, იძენდა სწავლას, პირველობდა სასწავლებელში. ლევანისგან მოქნეული მთრახი დასტრიალებდა მის გონების თვალს, როგორც რამ შოლტი ცეცხლისა და მიეზიდებოდა მას წინ შეუფერხებლივ. მარჯვედ და მარტად იძროდა ლევანი გრძლად გადაჭიმულ გზაზე სკოლებისა, გადადიოდა დაუბრკოლებრივ ერთი კლასიდან მეორეში, უფრო უმაღლესში, ერთი სკოლიდან მეორეში, უფრო წარჩინებულში. სულ ახალგაზდამ გაათავა საუკეთესოდ უმაღლესი სამხედრო სასწავლებელი, აღიჭურვა ძლიერი უფლებებით და გულდამშვიდებული შეცურდა ცხოვრების მორევში.


ეხლა კი მიანება ილიკომ თავი მეცადინებას და ამონსუნთქა თავისუფლად. სწავლა და მეცნიერება მისთვის მხოლოდ იარაღი იყო ცხოვრების უკეთეს მოსაწყობად, იგი მის თვალში მხოლოდ ეტლი რამ იყო ადგილსა განსავენებელსა მიმყვანებელი და ეხლა აღარ ჰსაჭიროებდა იმაში, როგორც უკვე ადგილს მისული. თვით მეცნიერებას მის თვალში არავთარი საკუთარი მნიშვნელობა არა ჰქონდა, არც სიტკონება; მან ვერც ერთ წამს ვერ იგემა ის უნივორ სხივისანი ნეტარება; რომელსაც მოანიჭებს გონებას განცდა თვით კეშმარიტებისა, ხილვა მისი თუნდ ზურგით კერძო.

ეხლა ილიკო უკვე ბრწყინვალე მოხელე იყო. მას მთლად გაქარწყლებული ჰქონდა ყმაშვილობის შიში, ვამ თუ მონად შევრჩე ცხოვრებას და ნაძირალადაო. წინანდელი ჯავრიც ვიღლაც ლევანისა თუ სხვისადმი უკვე ჩაფერფლილიყო, ჩამქრალიყო; სულ სხვა მისწრავებებს და გრძნობებს დაეჭირა წინანდელი სულასკვეთების ადგილი. მეტადრე ბატონურად დაიწყო ილიკომ ცხოვრებას მას შემდეგ, რაც ქმნებიანი ცოლი შეირთო და ოქროს კვარცხლბეჭვე დამყრია თავისი არსება. ეხლა ილიკო აღარ იყო ვიღლაც ნაყმევი ნოდარის შვილი, იგი ეხლა თვით ბატონი იყო და მმრანებელი. შიგა და შიგ კიდევ გახსენდებოდა ხოლმე ის დამყრია, რომელიც წილად გაეტანდებოდა ხელშე მას დადგენერალი უნდა მიმეშვირნა მისთვის, რომ დაეკრა და გულისბურხარი ეყარნა. არა! მონური მცნებაა ყველა ეს, დამონებულ და უსასოქმნილ ერისგან შეთხრალ — დაკანონებული. თავისუფლება ვერ შეითვისებს ამგვარ დარიგებას. მონისათვის კი ერთადეგრთი ხელსაყრელი წრთვნა არის ეს: უნდა ჰლოცა, მონავ, შენი მგმობელი ბატონი, რადგან თუ სიტყვა მკვაჭე ასმინე, მოგსპობს: მის ხელთ არის შენი სიცოცხლე! უნდა დაიმდაბლო თავი ბატონის წინაშე, ძონად უნდა მოჰკვდე მის მძლავრ ხელს და კეთილ მონად გიშოდებს და თვის ნახრავ ძვალს გადმოგიგდებს სუფრიდან ხელუკულმა. თუ ბატონმა შეგიძლება და გადაგემტერა, არ შეიჩნიო, მონავ, თორებ იგრძნობს, რომ გძულს იგი და მოგსპობს: მის ხელთ არის შენი სიცოცხლე!

აღარც ლირისი იყო ლევანი ყურადღებისა და გახსენებისა! იმან მსწრაფლ განვლო ის ზოგადი გზა, რომელმაც წევნში ბევრი ბრწყინვალე მიიყვანა სიგლახაკემდინ: საქმის უკადრის სობა და უთავობა, თავისუფლილი დროს ჩახრალი ბანქოში და ყუველვებრი სიმწარე აღარა სდევდა თან, ბავშვურ რამ თავისუფლად მოსხანდა მისთვის და უბრალო ლიმილსა ჰგვრიდა. ეხლა ყურადღების ლირსაც აღარა სთვლიდა ვიღლაც ლევანისა.

9.

აღარც ლირისი იყო ლევანი ყურადღებისა და გახსენებისა! იმან მსწრაფლ განვლო ის ზოგადი გზა, რომელმაც წევნში ბევრი ბრწყინვალე მიიყვანა სიგლახაკემდინ: საქმის უკადრის სობა და უთავობა, თავისუფლილი დროს ჩახრალი ბანქოში და ყუველვებრი ქეიფში, უადგილო ადგილს პანლაუქება და



ჩინეთის რესპუბლიკის გაირაღები:

1. ეროვნული ბატონი.
2. ჯარის ბატონი.
3. ფლორტის ბატონი.
- ჩინეთის რესპუბლიკის ბატონიანი: წითელი, ყვითელი, ლურჯი, თეთრი და შავი. ჯარის ბატონი წითელ-ფერია შავის ვარსკვლავით, რომელსაც ირგვლივ ყვითელი ბუშტები აქვთ. ფლორტის ბატონიანი წითელ-ფერია, ხოლო ლურჯის ვარსკვლავით.

ოქროს ფანტვა, ქონების მტკრად ქცევა და დანიავება, ხოლო ბოლოს უსახსრობა და სიღატაკე. ამ დაქანებულ გზაზე დამდგარმა ილიკომ მალე მოინარიკლა თავის მამულ-დელული. მეტადრე აუქლითავა ახალგაზდაშ მამის სიკვდილის შემდეგ-იქამდის მივიღა საქმე, რომ ბედაურისა და ტანისამოსის მეტი აღარა შერჩა რა. მერანიც შეჭამა თუ წაგო და რამდენჯერ-მე ვნახე ლევანი ფეხით მომავალი ნაჟედი მათრახით ხელში, თითქო ლაფშა აგერ მიუშვია თივა-ქერზე და თითონისე მოუსურვებია გამოსეირნება.

გაქირვებაში ლევანმა რამდენჯერმე სცადა ავაზაკობა, მაგრამ ყოველთვის მარტი მოუკიდა; კინაღამ მახეში გაეცა. ამან ძლიერ შეაშინა ვაჟი და მუხლი მოჰკვეთა. გაუხუნდა და შემოაცვდა წითელი ჩოხაც. იარაღი გაპყიდა თუ დააგირავა, ხანჯალი და უკანურა ზედ ობლად. დანა ყელზე მიდგა.

— ჩა დამემართა, რამ შემიკრა ბელი?! მდიდარი საცოლე
მაინც შეშოვა; თუნდ ეშმაქს ჰგვანებოდა ჯოჯონეთიდან გა-
მოსულს, თუნდ ბებიახემის ხნისა ყოფილიყო, ოლონდ კი
ჰქონდა იმოდენა შეძლება, რომ ცხოვრება არ გამჭირებოდა.
სად ვინ არის! ჩემს ბედობაზე ძაღლი არ იყეფება. სათოფედ
არავინ მეკარება, არც გამიკარა — ჰფიქრობდა შეშინებული
ლევანი და ალარ იცოდა, რა ექმნა, საით გადავარდნილიყო.

უნდა კი გადავარდნილიყო საითმე, რაღან არც თავის
სოფელში, არც მთელ იმ არეში აღარ ეცხოვებოდა.
ყველა აღმაცრივ უყურებდა, უფრთხოდა; უფულო და
მუქთა-ხორა. ვის რად უნდოდა?! თანაც ყველას ეში-
ნოდა, სწორედ ფულს დამესქსებაო. ახლო-მახლო ქალა-
ქებში წასვლა სრულებით არ გამოადგებოდა, იქ ბუზივით
იჩეოდა მისი უწინდელი ნაცნობ-მეგობარი და აწ მისი მემო-
ბელ-დამცინავი. იყო ლევანი ასეთს დიდ გაჭირებაში.

სწორედ ამ დროს გაჩნდა სოფელში მისი მამის მეგობარი თავადი ეგრისელი; თავის სასოვდაგრო საქმეებზე ჩამოსულიყო. ეს კაციც ოდესშე უსახსროდ დარჩენილიყო, მაგრამ კევე ეხმარნა და ეხლა დიდი სოვდა ჰქონდა დიდ ქალაქში, ფულებით კოჭაობდა. ლევანმა გაანდო მას თავისი გარემოება და ფულს დაესესხა.

— არა, ძმავ, მიუგო ეგრისელმა, ვერ გავიღებ ფულს
სესხად უსარგებლოდ და უგირაოდ. არც არას გიშველის შენ
ის ფული, ქარისგით გავიქრება. რამდენი მაგისთანა შეგიჭამია!
მეც ოდესმე შენისთანა გარემოებაში ვიყავი და ლუქმა არა-
ვინ მომიშვირა მუცელი ამომეყორა, დაცინვის მეტი აღარა მე-
სმოდა რა არც მოძმეთაგან, არც გუშინდელ ნაყმეთაგან. მაშინ
კი ვსთქვი: თუ კაცი ხარ, თენგიზ, მასხარად ნუ გაიხდი
თავს, ხელი გაანძრიყ და ღმერთი გიშველის მეთქი. თვალი
არ მაკლდა და ხელი, მოაზრება არ მაკლდა და მოხერხება;
აი სწორედ ეგრე, როგორც ეხლა შენ. დავკარ ფეხი და გა-
დავვარდი სხვა ქვეყნად. იქ არავინ მიუნობდა და პირდაპირ
მსახურად დავდეჭი ერთ ყავახანაში. ვიარე, ვიტანჯე, ვეწამე
და ცოტა თანხა შევაგროვე. შეუდექ ვაჭრობას და ეხლა,
გეტყვი გატეხილს, მილიონის პატრონი თუ არა ვარ ჯერ, სი-
მდიდრე კი მაქს გვარიანი და ნდობაც. ეგრე, ჩემო კეთი-
ლო! ფარას ვერ მოგაწვდი, გროშს, მაგრამ თუ ინებებ და არა
იუკალრისებ წაგიყვან, საქმეში ჩაგაბავ.

— მაგაზე უკეთესი რა იქნება, ჩემო ბატონი! სწორედ დამიხსნი გაჭირვებილან.

— ნუ იტყვი! იქაც გაჭირება გელებება: იქ შენ ჩემთვის
არც ნაცნობი იქმნები, არც კეთილშობილი. ჩემი დაჭირავე-
ბული კაცი იქნები და ისცვე მოგთხოვ საქმეს, როგორც სხვა
მუშას. უკადრისობაც არ შეიძლება! დაბლიდან უნდა დაიწ-
ყო, სულ უბრალო საქმიდან, რომ ყველაფერი ნახო, დაის-
წავლო და ყველაფრის გაკეთება შესძლო. ვაჭრობაში ხათრი
და თავაზი არ შეიძლება. მხოლოდ წენზე იქნება დამოკიდე-
ბული შენი წარმატება, შენს მუჟაითობაზე და ერთგულობაზე

დაფიქრდა ლევანი და დასთანხმდა. მეტი რა ლონგ
ჰქონდა?!?

— რა მიშვევს! ის ქალაქი დიდია და შორი. იქ მე ნაცნობი თუ ნათესავი არავინა მყავს და არც აძომიჩნდება. ვიმუშვევებ. აბა, რად მინდა ეს აძოდენა ძალა და ღონე? დავისწავლი ყველაფერს, გავიგებ და ფეხზე დავდგები, საკუთარს საქმეს დავიწყობ და ფულს შევიძენ, სიმდიდრეს. მაშინ ისევ შევისყიდი ჩემს მამულს, სასახლეს შევაკეთებ, ფულს დავა

ტრიალებ სოფლად და ბრძანებით ჩამორთმეულს ჟმა-შაშულს ფული დამიბრუნებს უკანვე უფრო მაგრა შებოჭილს და და-მორჩილებულს. ჭკვა კი ვისწავლე ეხლა! ოცნებობდა ლევა-ნი და აშენევებდა თავის თავს.

10.

წაცყვა ლევანი ეგრისელს და ძალიან ბეჯითად შეუდგა
სულ უბრალო საქმეს. თავ წახრილი შრომობდა გამწარებუ-
ლი და მიისწრაფებოდა თვეის მიზნისაკენ. არავითარ საქმეს
აღარ ერიდებოდა, რახან ერთხელ შეტოპა. გულში მაინც ზი-
ზლით უყურებდა იმნაირ გარჯას, მაგრამ არ იმჩნევდა და იბძო-
და გაჩუქრებული. მის გარშემო სხვებიც ისე ირჯებოდნენ იმავე
იმედებით გატაცებულნი. თითონ პატრიონიც. თავადი-გაჭარი,
სრულებითაც არ ერიდებოდა არც ერთ გასაკეთებელს და
ფეხდაფეხ მისდევდა თავის სავაჭრო დაწესებულებაში ყოველ-
სავე წვრიმალს. ფულმაც გაახლიას ლევანი. თავისი თვალი-
თა ჰქედავდა როგორ ჩეჩქივით მოსდიოდა ფული მოვაკნელს
ათას მხრიდან, თავის ხელითაცა ჰქონებავდა იმ ფულს მეპა-
ტრიონისათვის და იმედი ჰქონდა, რომ ოდესმე ამისთანა ოქ-
როს ნაკადი მის ჯიბისაკენ იზავდა პირს.

მეტადრე დიდი შემოსავალი ჰქონდა მოვაკენელის ერთ ყავახანას, რომელიც ქალაქის შუაგულში იყო გამართული და რომელსაც მთელ ქალაქში ჰქონდა სახელი გათქმული. აუარებელი ხალხი ეტანებოდა ამ დაწესებულებისა, ქალი თუ კაცი, და სულ კარგი საზოგადოებისა, ფულიანი. სუფთად იყო დაწესებულება მოწყობილი და მდიდრული. სანოვაგე საუკეთესო მოქენდათ და რჩეული. მუშტარი ამ მხრივ გულდინჯად იყო მინდობილი. სუფთად გამოწყობილი მორბედები მარჯვედ ასრულებდნენ ბრძანებას, უსიტყვილ. მეტადრე დიდი ხალხი მიაწყდებოდა ხოლმე კარგ დარში, ისე რომ ტევა აღარ იყო იმოდენა დარბაზში.

გაზაფხულის დღე იყო დინჯი, მზიანი. ნაზამორევი ხალხი
დღეს შეუბუქ ტანისამოსში გამოსულიყო საქულბაქოზე და
ხალისიანად დასეირნობდა. დიდძალი ხალხი ირეოდა ქუჩებში
თუ მაღაზიებში. შუადღემ რომ მოატანა, ეს ამოდენა ხალხი
ეგრისელის ყავახანისკენ დაიძრა. მთლად აიცსო დარბაზი. მა-
გიდებთან რომ აღარ იყო იდგილი, ბევრი ფეხზე მიირომევდა
საუზებს. მორჩედები ვეღარ ასწრობდნენ მირომევ-მორომევს. თითონ პატრონი თავს ედგა მათ, შორისახლოდან ათვალიე-
რებდა და სადაც მსახური ვეღარა სწვდებოდნენ, თითონ აშ-
ველებდა ხელს. მორჩედთა შორის იყო დღეს ლევანიც. მარ-
ჯვედ მიმოიძროდა. თავის პირდაპირი მოვალეობის მეტი აღ-
რა ახსოვდა რა ეხლა, არც არაფერს ყურადღებას აქცევდა
სხვას. შემოვიდა ფაქიზად ჩაცმული სამხედრო პირი, დეზებს
მოაჩხარუნებდა, ხმლის წვერს მოათრევდა. მკლავზე დაპბჯე-
ნოდა მას მდიდრულად გამოწყობილი ახალგაზრდა ქალი, მისი
მეულლე. დაჯდა მაგიდასთან, დააჭკარუნა, რიხინად მოითხო-
ვა სასმელი. ლევანს შეპნევდა მირომევა. მარჯვედ აუსრულა
ბრძანება. ზედ კი არ შეუხედნია: არ ეცალა სათვალიერებ-
ლად, მისული დააკვირდა მას, ჯერ გაოცება აღებეჭდა სახე-
ზე, მერე ჩამოისვა წვერზე ხელი და გესლიანად ჩაიცინა ულ-
ვაშში. დალიეს, მიირთვეს. დაუწყარუნა, გადუგდო სამ მანე-
თიანი. ლევანმა თევზით მოართვა ხურდა. წამსვლელი ჩააკვი-
რდა ლევანს თვალებში და უბრძანა:—ლევან, აიღ ხურდა,
შენი იყოს!

ლევანმა იცნო მუშტარი: ილიკო იყო, ხუნდაყის ბიჭი ილიკო! ერთ წამს გაშეშდა ლევანი უძრავად, მერე დააგდო: თევფში ხელიდან და გავარდა დარბაზიდან. აღარც დაბრუნებულა. ამბობდნენ, თავი მოიკლაო.



*) ესთი წერილი მივიღეს: „ოქვენ გვარს თქვენ უცხო დაბოლოვებით აწერთ. სხვგბი თქვენს გვარს სწერენ: ბარნაშვილი. ილბათ ორ მოგეხსენებით, რომ ჩენი გვარი ბარნაველია. ჩვენი წინაპარი მდვდელი გადმოსულა სამცხიდან, სოფელ ბარნავიდან, როცა სამცხე ისმაილს დაუჭრია. ეს ის ორბელიანთ კირის მდვდლიად გაუწივესებით. მაშინდელ საბუთობში ის მოხსენებულია ბარნაველია. კადნინრდები და გაცნობებთ ამას, როგორც მეტიმად გვარის უზრის წირმანმდგრელი.

სოფელი კოდა. სოლომინ იაკობის ძე ბარნაველი (ბარნოვი). 8. ბ.